ბიბლიოთეკა
5459

პროლეტარიელო, გაერთიანდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
18 ივნისი
1941 წ.
№ 141 (6146)
ფასი 15 კაპ.

**5 წლის წინათ ხალხის საზიზღარმა მტრებმა კონტრრევოლუციონერმა ტროცკისტ-ბუხარინელმა გარეწრებმა ვერაგულად მოჰკლეს დიდი რუსი ხალხის დიდი შვილი, ლენინისა და სტალინის უახლოესი მეგობარი, მშრომელთა კეთილდღეობისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი, სიტყვის გენიალური მხატვარი მაქსიმ გორკი.**

**გორკის ნათელი ხსოვნა ცოცხლობს და სამუდამოდ იცოცხლებს მიღიონობით მშრომელთა გულში, კომუნიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებში!**

## სკოლებმა მუშაობა დაამთავრეს, ვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის!

ბუშინ საშუალო სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლეთათვის უკანასკნელი გამოცდა ჩატარდა. დამთავრდა საგაზაფხულო გამოცდები, დამთავრდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა მთელი წლის ნამუშევრის საბრძოლო დათვალიერება.

მოსწავლეები გამოცდებისათვის უმზადებდნენ გავლილი მასალის ამა თუ მონაკვეთი გაზეთრიებით, არამედ ამ მასალის მეხსიერებაში აღდგენით და განმტკიცებით. პროგრამის ყოველ ნაწილს ისინი აძლევდნენ შეუპოვარი, მონდომებული შუმობით და ამით აიხსნება ის, რომ გამოცდებზე მათი პასუხი ამა თუ იმ დისციპლინაში მოფიქრებული, აზრიანი და დინჯი იყო. არავითარი „დაბნევა", არავითარი ნერვიულობა პასუხის გაცემის დროს — ეს ახასიათებდა წელს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის დიდ ნაწილს — კლასიდან კლასში გადამსვლელთ, გამოსაშვები კლასის დამსრულებელთ.

მნიშვნელოვნად შემცირდა ორწლიანობა, თვალსაჩინოდ გაიზარდა მოსწავლეთა წარმატება. მათ გვიჩვენეს ღრმა, სისტემაში მოყვანილი ცოდნა. განსაკუთრებით დიდი წარმატებები აქვთ წელს ახლადგაკურსდამთავრებულთ. და ეს ფრიად სასიხარულო მოვლენაა. პარტია, მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა, ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მოითხოვენ ყოველი ახალგაზრდისაგან მაღალ თვითშეგნებას, მრავალმხრივ ცოდნას, გამოდგებით თავის თავზე მუშობას მარქსისტ-ლენინიზმის დასაუფლებლად, მუშობას პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, უდრეკ ნებისყოფას, ზნეობრივ და ფიზიკურ მაღალ ღირსებებს, გამოცდებმა დაგვაჩვენა, რომ ახლად კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი აღსტურდვილია ამ ღირსებებით. ასეთი ახალგაზრდები ჩვენს ქვეყანაში ბევრს რამეს გააკეთებენ, ისინი მისცემენ თავის სამშობლოს ყველაფერს, რისთვისაც მთ ძალიან ნეტარნი. ოღონდ თვითეულმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ მან უნდა იმუშაოს ამა თქანაკეთრად, არამედ შემოქმედებით.

დიდ წარმატებათა გვერდით გამოცდებმა დაგვანახვა აგრეთვე მთელი რიგი ნაკლოვანებანი. გამოირკვა, მაგალითად, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არ ესმის, რომ ცოდნა ნიშნის მისაღებად კი არ არის საჭირო, არამედ ცხოვრებისათვის, პრაქტიკაში გამოსაყენებლად. გამოირკვა, რომ ზოგიერთი მოსწავლე ნაკლებად კითხულობს სკოლის გარეშე წყნენებს, მათი ლექსიკა ღარიბია, მეტყველება მოუქნელი, მათ არ შეუძლიათ ნაზრევის ზუსტად, გასაგებად გადმოცემა. ჩვენ არ გვინდა მხოლოდ დამზეპირებელი, რომ გვიამბონ ენგელსი „აქედან აქამდე". ქვეყანაა ელოდება ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისაგან მცოდნე, გამბედავ ადამიანს, რომლებიც მასწავლებლის მიერ სახელმძღვანელოში დანიშნული ადგილის იქით გადახედავს არ ერიდებიან და ცოდნასმოწყურებულნი ცდილობენ უფრო ღრმად ჩასწვდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს.

ყოველდღიურად იზრდება ჩვენი ქვეყანა და დღეს მოზარდთაობას გაცილებით მეტი მოეთხოვება. ამიტომ ყოველად შეუწყნარებელია ის მოვლენა, როდესაც ზოგიერთი მასწავლებელი ცდილობს გამოცდებზე იხსნას თავისი ესა თუ ის მოწაფე „ჩავარდნისაგან". მაგალითად, სოფ. დიღმის საშუალო სკოლის ერთ-ერთ ენის მასწავლებელი გულიკა გამოცდაზე მოსწავლის მიერ სათქმელი წინადადების პირველ ნაწილს თვითონ ამბობდა და მოსწავლეს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ „უთიყუნებიეთ გაემეორებინა მასწავლებლის ნათქვამი. ახალგაზრდა მასწავლებლები უსათუოდ საჭიროებენ რჩევას, დახმარებას. მათ უნდა დაეხმარონ გამოცდილი, გულისხმიერი მასწავლებელი-ინსტრუქტორები. მაშინ ადგილი აღარ იქნება მთელ რიგ შეცდომებს სწავლებისა და გამოცდების დროს. წელს შემოდგომაზე სკოლებში მოვლენ ახალგაზრდა მასწავლებელთა კადრები. ამ მასწავლებელთათვის დახმარებაზე ამთავითვე უნდა იზრუნონ სახალხო განათლების ორგანოებმა.

გარდა ამისა, არის მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რომელთა მოგვარებას ახლავე უნდა შეუდგეს სკოლების ხელმძღვანელობა. სკოლების რემონტი, სათბობი მასალის მომარაგება, ლაბორატორიების საჭირო ინვენტარითა და აპარატურით შევსება და მრავალი სხვა ასეთი საქმე უნდა მოგვარდეს ზაფხულის პერიოდში, ისე რომ სკოლის მუშაობა შემოდგომიდან ორნაირად აღარ შეფერხდეს. 1 სექტემბერს სკოლაში დაბრუნებულ დასვენებულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სკოლა მზად უნდა დახვდეს.

მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა კი ზაფხულის არდადეგები ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ, დაისვენონ და ახალი ძალოვნით დაბრუნდნენ სკოლას. დასვენება, რასაკვირველია, არ უნდა გავიგოთ, როგორც არაფრის არკეთება, უსაქმობა.

ქვალთიკაციის ასაბალლებელ მოკლეკადიან კურსებზე მეცადინეობა, დაჟსწრებელი სწავლების სესიებზე დასწრება, მარქსისტ-ლენინიზმის თეორიის დაუფლება, ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება—აი საბჭოთა მასწავლებელმა რას უნდა მიაქციოს ყურადღება.

საინტერესო საქმიანობა მოელის ზაფხულში მოსწავლეებსაც. ბევრი მათგანი მონაწილეობას მიიღებს თავისი რაიონის უფრო ახლოს გასაცნობად მოწყობილ ლაშქრობებში. სხვები არდადეგებს გაატარებენ თავიანთ კოლმეურნეობებში და თავის შრომით გაუწევენ დახმარებას კოლმეურნეებს. სკოლამ მოსწავლეებს მისცა საქმიანი ცოდნა. პრაქტიკული მუშობაში ისინი გაიარდნებენ ამ ცოდნას, გააკეთებენ თავის კუნთებს და გაჯანსაღდებიან. მოსწავლეები არ დაივიწყებენ აგრეთვე მათთვის ესოდენ საყვარელ სპორტსაც, დაუეფლებიან სპეციალურ ფიზიკურ-ტექნიკურ ჩვეულებებს, დაიწყებიან წყნენების კითხვას, ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელნი დაიბრუნდებიან საყვარელ სკოლას შემოდგომაზე.

სპორტი, შრომა, ბუნებასთან ახლოს გაცნობა — ეს უნდა დაუდონ საფუძვლად თავის მუშობას აგრეთვე პიონერთა და მოსწავლეთა ბანაკების ხელმძღვანელებმა. ბანაკები უბრალო დასასვენებელ სახლებად არ უნდა გადაიქცნენ.

ახალ, 1941-1942 სასწავლო წელს სკოლა თავის მოსწავლეებს მიიღებს კლავ მეგობრულად, სიხარულით. დაიწყება სწავლა, და მეცადინეობის პირველი დღიდანვე ყოველ მოსწავლეს უნდა ახსოვდეს, რომ საწავლო სკოლა ეს პირველი სფეხურია, საიდანაც უნდა ვიაროთ წინ, მეცნიერებათა მწვერვალებისაკენ.

საყვარელი სამშობლო, დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** მოითხოვენ ჩვენგან შეუპოვრად სწავლას.

„ჩვენს წინაშე, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი** საკ. ალკ VIII სრულიად-საკავშირო ყრილობაზე, — ციხე-სიმაგრეა. მას, ამ ციხე-სიმაგრეს, ეწოდება მეცნიერება, თავის ცოდნათა მრავალნაირი დარგით. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აციოოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს ახალი ცხოვრების მშენებელი იყოს..."

## ივანე ფრანკოს სახელობის უკრაინული თეატრის გასტროლები დიდი წარმატებით მიმდინარეობს

**სპექტაკლს „უკრაინის ველებში" დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი**

მოსკოვში დიდი წარმატებით მიმდინარეობს კიევის იკანე ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი უკრაინული აკადემიური თეატრის გასტროლები. მისი სპექტაკლები, რომლებიც სტანისლავსკის სახელობის თეატრში იმართება, მოსკოველების მუდმივი ყურადღებით სარგებლობს. დედაქალაქში ნაჩვენები ყველა დადგმა—ფრანკოს „მოპარული ბედნიერება", სტარიცკის „მარუსია ბოგუსლავკა" და „ნუ წახვალ, გრიც", ტობილევიჩის „ამოიუბა", ოსტროვსკის „უკანასკნელი მსხვერპლი", კორნეიჩუკის „უკრაინის ველებში" უკრაინელი თეატრალური კულტურის უდიდეს აყვავებას მოწმობს.

15 ივნისს, საღამოს, ივანე ფრანკოს სახელობის თეატრმა მაყურებელს კვლავ უჩვენა კორნეიჩუკის პიესა „უკრაინის ველებში" (სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვნატ იურას დადგმა). სპექტაკლში წარმატებით გამოვიდნენ: უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ი. შუმსკი (გალუშკა), უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები დ. ზილიუტენკო (ჩესნოკი), ვ. დუკლერი (დოლგონოსოკი), ე. პოლიშჩინენკო (გრიცი), მ. პილიპენკო (პუპა) და მსახიობი ქალი პ. ნიატკო (ატერინა).

სპექტაკლს „უკრაინის ველებში" დაესწრნენ ამხანაგები **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი** (საკადრი).

### ლერმონტოვის, ნაპოლეონ და ნიზამის ნაწარმოებნი უზბეკეთში

წაოოის, ლერმონტოვისა და ნიზამის მომავალი იუბილეებისათვის უზბეკეთში უშვებენ დიდი პოეტების მრავალ ნაწარმოებს. მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა უშვებს ლერმონტოვის რჩეულ თხზულებათა სამტომეულს უზბეკურ ენაზე. ოგივე გამომცემლობა უშვებს ნაპოლეონ ლირიკული ლექსებისა და მის ტექსტებზე დაწერილი ოცზე მეტი მუსიკალური ნაწარმოების კრებულს.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენს იმ მაღალმხატვრული მინიატურების ალბომის გამოცემა, რომელიც აღდგენილია ნაპოლეონ ეპოქის ხელნაწერი ფოლიანტების მიხედვით. ეს მინიატურები პირველად იცემა.

ნიზამის იუბილესათვის გამოცემული იქნება პოემა „ხოსროვი და შირინი" უზბეკურ ენაზე.

### ახალდაკეთებული წითელი არმიის რიგებში შესასვლელად ემზადებიან

დედაქალაქის საწარმოებში გაჩაწეული ასაკის ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში შესასვლელად ემზადებიან. ქარხანაში „ნამალი და ჩაქუჩი" ახალწვეულნი ეუფლებიან ფრენის ოსტატობას, ზედმიწევნით მარჯვე სროლის ხელოვნებას, სპარაშუტო სპორტს, სწავლობენ სამხედრო-საზღვაო საქმეს.

ქარხანა „კალიბრის" კოლექტივი ღირსეულ შეავსებს უმზადეს წითელ არმიას. ახალწვეულთა 85 პროცენტმა უკვე ჩაიბარა ნორმები „ეშო"-ს პირველი საფეხურის ნიშნებზე. 36 ახალწვეული მოტოციკლისტთა წრეებში სწავლობს. მათგან უმრავლესობამ უკვე დაამთავრა თეორიული კურსი და პრაქტიკულ მეცადინეობას შეუდგა. ბევრი წარმოებას მოუწყვეტლად სწავლობს აეროკლუბში, ავტო-მოტოსკოლაში. (საკადრი).

### ფიზკულტურა ჩაჩიდოოთ ბუკოვინის სოფლებში

ჩრდილოეთ ბუკოვინის სოფლებში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ დამყარებამდე არავითარი ფიზკულტურული მუშობა არ იყო, ახლა აშენებულია ათობითი სასპორტო მოედანი, ქალაქები, სტადიონები. სოფელ ბანილივნესერეტში აქტივის ძალებით მოწყობილია სტადიონი, შენდება წყლის სასპორტო სადგური. ჩრდილოეთ ბუკოვინის სოფლებში შექმნილია 122 კოლექტივი, რომლებიც 3.500-ზე მეტ ფიზკულტურელს აერთიანებენ. შეჯიბრება უკვე დაიწყო ფეხბურთელთა 50 სასოფლო გუნდმა. ზასტავნოვსკის რაიონის სოფელ იურკოვცში მთელი ახალგაზრდობა ფიზკულტურას ეწევა. აქ რეგულარულად იმართება შეჯიბრება ტანვარჯიშში, ძძლოსნობაში, ფრენბურთში ზასტავნოვსკის რაიონის სოფლებში აშენებულია 17 სასპორტო მოედანი. მთავრდება კიდევ 11 მოედნის აგება.

16 ივნისი (საკადრი).

### უმეთვალყურეობისა და მანანანალობის ლიკვიდაციის საბჭოთა გუსარებიანი

ბესარაბიაში დიდი მუშაობა შესრულდა უმეთვალყურეობისა და მაწანწალობის ლიკვიდაციისათვის.

წელს ათი სამაგვარი ბიღის შესანახავად და უმეთვალყურეოთა მოსასვლელად გადებულია დაახლოებით 9 მილიონი მანეთი, ხოლო მოხუცთა სახლების შესანახავად და მოსაყოფად—დაახლოებით 3 მილიონი მანეთი. მაგალითად, ბენდერის მაზრის სოფელ მარიანოვკაში შექმნილია ინვალიდთა ქალაქი. აქ 1.200 კაცი სცხოვრობს. მოხუცები ბოთავსებული არიან ნათელ, კარგადმოწყობილ სახლებში, რომლებიც საუცხოო ადგილს მდებარეობენ. ქალაქთან მოწყობილია დამზმარე მეურნეობა — ბოსტნები, ბაღები, მეცხოველეობის ფერმა.

წელს ინვალიდთა დიდი ჯგუფი სამკურნალოდ გაიგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სანატორიუმში.

## დიდი წარმატებით დამთავრდა ახალ სესხზე ხელის მოწერა

**(საუბარი საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ამხ. კ. ციციკაურიძესთან)**

ორდენოსანი საქართველოს საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, მაღაროებში, დაწესებულებებში, ყველგან ორგანიზებულად დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობდა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელმწიფო სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელის მოწერა. 14 დღის განმავლობაში ხელი მოწერილია 190.230 ათას მანეთზე. ამ თანხის 64,4 პროცენტი მარტო პირველი დღისაა, მეხუთე დღისათვის ამ ციფრმა 97,3 პროცენტს მიაღწია. გასულ წელს სესხზე ხელმოწერილი თანხიდან (166.286 ათასი მანეთი) პირველი დღისა 45,4 პროცენტს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო მიუჯატეთ გათვალისწინებული სესხის თანხა პირველი ოთხი დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნა დაფარული. ძალიან სწრაფად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა სესხის გავრცელება ქ. თბილისში. აქ გავრცელებული სესხის მთელი თანხის (62.947 ათასი მანეთი) 78,6 პროცენტს მარტო პირველი დღისა შეადგენს. დიდი წარმატებები გავრცელდა ახალი სესხი საქართველოს რაიონებში, ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სესხზე ხელის მოწერის თანხა 16.487 ათას მანეთს შეადგენს, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 12.940 ათას მანეთს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 3.286 ათას მანეთს.

ვასულ წელს სესხზე ხელის მოწერა მიმდინარეობდა 19 დღის განმავლობაში, წელს კი 14 დღის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, საქართველოში ახალი სესხი შარშანდელთან შედარებით 23.944 ათასი მანეთით მეტია გავრცელებული. ეს ფაქტი მოწმობს ჩვენი მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შეძლებულობის შემდგომს ზრდას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ორდენოსანი საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეებმა სესხზე ხელის მოწერისთანავე ნაღდად შემოიტანეს მთელი თანხა. პარტო ზუგდიდის რაიონში სოფლად გავრცელებული სესხის თანხიდან 510.000 მანეთი უკვე განაღდებულია. სოფლად გავრცელებული სესხის თანხების შემოტანას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საფინანსო ორგანოებმა, შემნახველმა სალაროებმა.

ორდენოსანი საქართველოს მშრომელმა ხალხმა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) წარმატებით გავრცელების საქმეში კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი ღრმა სიყვარული, ერთგულება და თავდადება სოციალისტურ სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.**

## საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გავრცელებულია 190.230.000 მანეთის სესხი

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობებით 17 ივნისამდე, 14 დღის განმავლობაში, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეოთხე წლის გამოშვება) გავრცელებულია 190.230 ათასი მანეთის რაოდენობით. სესხზე ხელის მოწერის თანხა ქალაქად შეადგენს 153.087 ათას მანეთს, სოფლად — 37.143 ათას მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის სესხზე ხელი მოწერილი ყქონდათ 164.335 ათასი მანეთის რაოდენობით, სესხის გავრცელების მთელს პერიოდში — 19 დღის განმავლობაში — 166.286 ათასი მანეთის რაოდენობით.**

**მთელს რესპუბლიკაში სოფლად ხელმოწერილი თანხიდან 3.944 ათასი მანეთი უკვე განაღდებულია.**

**ქ. თბილისში, 14 დღის განმავლობაში 200.351 კაცმა სესხზე ხელი მოაწერა 62.947 ათასი მანეთის რაოდენობით. ბერიას რაიონში ხელმოწერის თანხა 16.283 ათას მანეთს შეადგენს, სტალინის რაიონში — 10.846 ათას მანეთს, 26 კომისრის რაიონში — 10.099 ათას მანეთს, კიროვის რაიონში — 6.727 ათას მანეთს, ლენინის რაიონში — 6.574 ათას მანეთს, ორჯონიკიძის რაიონში — 6.341 ათას მანეთს, მოლოტოვის რაიონში — 6.077 ათას მანეთს.**

**გასულ წელს 14 დღის განმავლობაში თბილისში სესხზე ხელის მოწერა 56.694 ათას მანეთს შეადგენდა, 19 დღის განმავლობაში კი — 57.064 ათას მანეთს.**

**ახალ სესხზე ხელის მოწერა მთელს რესპუბლიკაში დიდი წარმატებით ჩატარდა.**

## პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

**საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მუშებისადმი პროფ. კავშირთა დახმარების შესახებ**

სამრეწველო საწარმოებს, მწენებლობებს, რკინიგზის ტრანსპორტს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების კურსდამთავრებული დიდძალი მუშახელი — 250 ათასი ახალგაზრდა მუშა შეემატათ. პროფესიული კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ ზრუნავენ პროფკავშირული ორგანიზაციები იმისათვის, რომ საჭირო საწარმოო და სანიტარო პირობები შეუქმნან კურსდამთავრებულთ.

პროფკავშირთა ზოგიერთმა ცენტრალურმა კომიტეტმა (ცენტრის შავი მეტალურგიის მუშათა, ცენტრის საავტომობილო მრეწველობის, სამშენებლო მრეწველობის და სხვ.) ვერ მოაწყო იმის დროულად შემოწმება, თუ რამდენად არიან მომზადებული საწარმოები ახალი მუშების მისაღებად.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ბინების მომზადებასა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების კურსდამთავრებულთათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისათვის ზრუნვა ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის პირდაპირ მოვალეობის წარმოადგენს.

პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს წინადადება მიეცათ სისტემატური კონტროლი გაუწიონ იმ საერთო საცხოვრებლების მდგომარეობას, რომლებშიაც საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების კურსდამთავრებული ცხოვრობენ, მოაწყონ საერთო საცხოვრებლებთან წყთელი კუთხეები, მიაღწიონ იმას, რომ ახალგაზრდა მუშების ბინებში საჭირო წესრიგი და სანიმუშო სისუფთავე იყოს.

დიდი ყურადღება მიექცა ახალი კადრების პოლიტიკურ-მასობრივი და საწარმოო აღზრდის საკითხებს. პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ურჩია მოაწყონ კადრის მუშების საუბრები სკოლების კურსდამთავრებულებთან საწარმოო-ტექნიკური და შრომის დისციპლინის, სოციალისტური ქონებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, თავიანთი შრომის სწორი ორგანიზაციის, წუნთან ბრძოლის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვ. საკითხებზე. ახალგაზრდა მუშები კარგად უნდა იქნან ინსტრუქტირებული შრომის დაცვისა და უშიშრობის ტექნიკის დარგში. (საკადრი).



**გორკი — სიტყვის გენიალური მხატვარია,** ლიტერატორებს სიტყვის მხატვრებს ეს მაგალითი უჩვენებს სიტყვის ძალას, რომელ ეს სიტყვა ემსახურება ბრძოლას ადამიანისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის, რომ ეს სიტყვა ადამიანებისა და ხალხთა გულს ცოცხლებს.

**გორკი — დიდი ხალხის დიდი შვილია.**

უბრალო ადამიანებს, მუშრომელებს, გორკის მაგალითი უჩვენებს, რომ ჩვენი ხალხი, ისე როგორც სხვა ხალხები, ბევრია საგულოვანი ტალანტებით, რომლებიც ფიცით მოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ახერხებენ თავი დაადწიონ ძმეთა ტირილთისათვის, ოლონ ახლა გახსნილია თავისუფალი გზა აყვავებისაკენ, გაბატონებებისა და დიდებისაკენ.

**გორკი — მუშრომელთა თავდადებული მეგობარი და კომუნიზმისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელია.**

ნუთუ კიდევ საბერძნო ეიმის მტკიცდება, რომ ქაცობრიობის საუკეთესო ადამიანები, რომ ლთაც მიაღწიეს კულტურის მწვერვალებს და ღრმად ჩასწვდნენ ხალხთა ინდივიდ თავიანთ ბედნიერებაზე, თავდადებულად მეთლიანად სწირავენ თავიანთ ძალლონეს კოლმუნიზმის საქმეს და ამაში ხედავენ თავიანთ უბალლეს ქცაკოფილებას.

ბარბო ეს მოსწავლის ეიმა, რომ კოლმუნიზმის საქმე — თავისი სრული ბედაკაზმულობის გზაზე დგას.

ლენინის ფიქრდა გორკის სიკვდილი — ყველაზე მძიმე დანაკლისია ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობისათვის.

ჩვენი ძალა ეიაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ქვეყნის ხალხი, რომელსაც გორკიმ მთელი თავისი დიდი ნიჭი და დიდი გული შესწირა, უკვე დაჯდა თავის ძალაკარ ფეხზე, ბასაძანი ბისცა თავისი უსაზღვარ ძალებსა და ნიჭის ზარდს და მით ძლევამოსილად ანხორციელებს კაცობრიობის საუკეთესო ფარამეადგენელთა ეიედებსა და ოცნებას.

**ვ. მ. მოლოტოვი**

## საქ. კ. პ (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

**სოხუმი** („კომუნისტის" კორ.). 16 ივნისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელშაც გაწეხილია ორი საკითხი: 1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მიმდინარეობისა და მოსავლის აღებისათვის მზადება და 2. ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. გ. ბერულავა. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ბაგრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. ზარანდიამ, პარტიის სოხუმის რაიკომის მდივანმა ე. ჯვიბენავამ, პარტიის გალის რაიკომის მდივანმა პ. თოდუამ, ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომის მიწვანის გამგემ მ. ზარანდიამ, პარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანმა გ. კოკაიამ, საქსოფლომეურნეობის აფხაზეთის განყოფილების უფროსმა ე. ურიდიამ და აფხაზეთის ასსრ საკომისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კ. ჭიჭინაძემ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია, რომელმაც მეუთითა თამბაკოს, და ჩაის სამეურნეოთა მიმდინარეობის, აგრეთვე შრომის ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების გზებზე.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები; საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ა. მირცხულავა.

## ქუთაისის თეატრის კოლექტივის ჩამოსვლა

17 ივნისს, საღამოს 9½ საათზე, თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის თეატრის მთელი კოლექტივი თეატრის დირექტორის ორდენოსან დ. ანთაძის ხელმძღვანელობით. მატარებლის მოსვლის წინ სადგურში თავი მოიყარეს თბილისის თეატრების ბანდა ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებმა. პერონზე არიან ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ბ. გოგუა, მისი მოადგილე ამხ. ბ. კანდელაკი, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი ამხ. ა. ვასაძე, რუსუთაველის ამხ. ბ. ბალანჩინი, ბ. ბალანჩინი, ბ. ბალანჩინი,

# მაქსიმ გორკი—სიჯყვის გენიალური მხატვარი

## უკვდავი გორკი

### ა. მ. გორკის ნაწარმოებთა 40.5 მილიონი ცალი

18 ივნისს სრულდება დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის გარდაცვალების 5 წლისთავი. გორკის შესანიშნავი ნაწარმოებნი უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებში. სრულიად-საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, ეს ნაწარმოებნი სსრ კავშირში 1917 წლიდან 1941 წლის 1 ივნისამდე გამოცემულია 40,58 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით, რუსულ ენაზე ა. მ. გორკის წიგნები გამოცემულია 35,55 მილიონი ცალი ტირაჟით და სხვა ენებზე — 5 მილიონზე მეტი ცალი ტირაჟი.

სიტყვის გენიალური ოსტატის ნაწარმოებნი დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო მშრომელი მასებისათვის. 1894-1916 წლებში ეს ნაწარმოებები გამოვიდა მილიონ ცალზე ეოტათი მეტი, რვა ენაზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან ა. მ. გორკის წიგნების გამოცემა მასობრივი ტირაჟით დაიწყო. ეს წიგნები ნათარგმნია 65 ენაზე — ჯერ-ჯერობეთ, ბელორუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ლატვიურ, თათრულ და სსრ კავშირის ხალხთა ბევრ სხვა ენაზე.

დიდი რუსი მწერლის პოპულარულ წიგნებს ახლა მშობლიურ ენაზე კითხულობს ჩვენი ქვეყნის ბევრი ხალხი, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციამდე საკუთარი დამწერლობაც კი არა ჰქონია.

გორკის ნაწარმოებებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვეს უცხოთის ქვეყნების მშრომელთა შორისაც.

ა. მ. გორკის ერთერთი ცნობილი წიგნი — „დედა" უკვე 106-ჯერ გამოიცა. მოთხრობა დაბეჭდილია 1,8 მილიონ ცალზე მეტი ტირაჟით. (საკვლევი).

### დიდი პროლეტარული მწერლის ხსოვნისათვის

**გორკი**, 16 ივნისი (საკფსი). ალექსი მაქსიმეს-ძის ბავშვობასა და ვაჭკოობას მოგვაგონებს ის ქალაქის ყოველი კუთხე, რომელსაც დიდი პროლეტარული მწერლის სახელი ეწოდება. აქ, ვოლგაზე დაიწყო მან შრომითი ცხოვრება, აქ ამობრწყინდა მისი ვარსკვლავი. და ამკარად, საყვარელი მწერლის მუხანათური მკვლელობის 5 წლისთავის წინ—ათასობით ხალხი მოდის მუზეუმში, სადაც ასახულია მისი ცხოვრება და შემოქმედება. განსაკუთრებული პოპულარობა აქვს მოპოვებული ყოფაცხოვრებითს მუზეუმს — კაშირინის სახლს. აქ მოდიან მუშები, კოლმეურნეები, მოსწავლენი, მრავალი ჩამოსული. ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართება ა. მ. გორკის გარდაცვალების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებანი და საუბრები. გალიერეად მოთხოვნილებაა გორკის ნაწერებზე. ყველაზე უფრო მეტად კითხულობენ „ორტამონოვების საქმეს", „დედას", „კლიმ სამგინის ცხოვრებას".

ა. მ. გორკის ყოფაცხოვრებითი მუზეუმის ( და საოლკო არქივის მეცნიერი თანაშრომლები ამჟამად ახალ მასალას ამზადებენ, რომელიც შექმნა ჰფენს კაშირინების ოჯახის წარსულს. ამას წინათ ამოიარჩინეს წარსული საუკუნის დამდეგის დოკუმენტები.

დიდი მწერლის რევოლუციური მოღვაწეობა კვლავ მომხიბვლელი თემაა მხატვრებისათვის. გორკელი მხატვარი ლონენკოვი ამთავრებს სურათს—„გორკის პირველი დასტამრება". ეს სურათი გამოხატავს ბოლიეევთა მიერ მწერლის ბინის გაჩხრეკას.

18 ივნისს გაიმართება ინტელიგენციის, პატრიოტთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საქალაქო კრება, რომელიც მიეძღვნება ა. მ. გორკის ხსოვნას.

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიმ, კაცობრიობის უდიდესმა მწერალმა, რევოლუციის ტრიბუნმა თავისი დიდი ცხოვრება, უდიდესი შემოქმედებითი საქმიანობით აღსავსე, გაატარა დაუღალვე სამსახურში რევოლუციისა და მშრომელთა ინტერესებისათვის. დიდი ჩვენი ოტაცება გორკისებური შეუდრეკელი სულის, მისი ნებისყოფისა და ტალანტის ძლიერების წინაშე.

თავის შესანიშნავ გულმართალ მხატვრულ ნაწარმოებებში, თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში გორკიმ, ცარიზმის ეპოქის სამინელი წლების მოწმემ, ასახა მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ძველი საზოგადოების „უჯიათი საზიზღროებანი" და რეაქციის ძმიმე წლების მანძილზე გაატარა ნათელი რწმენა ადამიანისადმი, რომელიც ღირსია უკეთესი ცხოვრებისა.

გორკი შევიდა ლიტერატურაში 90-იან წლებში — რუსეთში „კაპიტალიზმის ძალფი ზრდის, მუშათა მოძრაობის აღმაფრენისა და მარქსისტული წრეების ფართო განვითარების ეპოქაში. გორკის პირველი მოთხრობები, მათი მალალი რევოლუციური რომანტიკა, მისი ნაწარმოებების ურჩი, კადნიერი, ბეჯმბობე გმირი დაპირისპირებული იყო მეფის რუსეთის მხეცურ, მეშჩანურ ყოფაცხოვრებისადმი და მხატვრული ფორმით გამოსახავდა პროლეტარული რევოლუციის მზარე ძალას, მოწინავე მუშათა კლასის აქტიურ და გმირულ განწყობილებებს.

გორკი იყო რევოლუციის ქარიშხალა, სოციალიზმის პროპაგანდისტი.

მხურვალე ოენბამ ძლიერ, გამბედავ და ამაყ ადამიანებე გორკი მიიყვანა მის ადრეულ ზღაპარ-ლეგენდების რომანტიკამდე („მოხუცი ქალი იზერგილი", „სიმღერა შევარდნებზე", „სიმღერა ქარიშხალაზე"), პოეტურ გაზრდამდე შევარდნებზე, რომელიც მამაცური სიკვდილი არჩია ნეოპაცობა უფეოულ არსებობას, ადამიანებისადმი ჩაუქრობელ სიყვარულით აღსავსე დინოს ბეღლე. ეს მოთხრობები, რომლებიც გაღენთილი იყვნენ პროტესტული სულით მესაკუთრული ყოფაცხოვრების საზიზღროების წინააღმდეგ, ხალხში ალვიევდნენ მამაცობის გრძნობას და ბრძოლისათვის მზადყოფნას ექსპლუატატორების ზეშაბოლოდ ბრძოლისა. ეს მოთხრობები მხატვრულ პროკლამაციებს ჰარმოდგენენენ და 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებში მწერალს განსაკუთრებული პოპულარობა ექმნა ბოლშევიკურ ბანაკში.

სოციალიზმის მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენით არის გამსჭვალული გორკის ყველა ნაწარმოები, დაწერილი ოქტომბრის დღეებამდე.

გორკის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური თემა არის მხატვრულად ასახვა კაპიტალიზმის გზების, მისი განვითარების შინაგანი ტენდენციებისა, რომელნიც თვით იწვევენ მისი დაღუპვის აუცილებლობას („თომა გორდე

# ბედნიერი საბჭოთა მოსწავლე ახალგაზრდობა

## სიამაყის გრძნობით

1902 წლიდან მასწავლებელი ვარ. მრავალ ახალგაზრდას გაუვლია ჩვენს სკოლაში ჩემი მასწავლებლობის დროს, მრავალი ახლა თვითონ არის მასწავლებელი, ზოგიც ინჟინერია, სხვები — ექიმები, აგრონომები, მეცნიერ მუშაკები. ვაკვირდები ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას და გული სიამაყის გრძნობით მევსება. კარგია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა. საბჭოთა ბავშვები საუკეთესო ღირსებისა არიან: ნიჭიერები, სწავლის დიდი მოსურნენი, ჯანსაღები. საქმე ის არის მხოლოდ, რომ მათ კარგად მიეყოდგეთ, კარგად აღვზარდოთ, ისე აღვზარდოთ, როგორც ამას მოითხოვს ქვეყნის, ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები.

ჩვენს სკოლაში ამ მხრივ საკმაოდ კარგი მდგომარეობაა. ჩვენი სკოლის პედაგოგთა კოლექტივი მოსწავლეთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. სკოლის მოსწავლეთა შორის შეიმნიერა ისეთი სულისკვეთება, რომ უდიერობა, უზრდელობა, სიზარმაცე, წრეს გადასული ცელქობა უდიდეს სირცხვილად და „თავის მოკრავად“ არის აღიარებული თვით ბავშვებს შორის.

უკანასკნელ კლასებში კი სანიმუშო ყოფაქცევისა და წარმატების მოსწავლეები გვყავს. ყველანი კარგად სწავლობენ. ახლა-ხან დამთავრდა გამოცდები შეთვალკლასში. მე მათ რუსულ ენას ვასწავლიდი და უნდა განვაცხადო, რომ ფრიად ნასიამოვნები დგარჩი, — მშვენიერად ჩააბარეს ვამოცდები. სიერთო განვითარების საკმაოდ დიდი მარაგი შეუძენიათ ჩვს მოწაფეებს.

სეტემბრიდან ახალი ენერგიით შეუდგები მუშობას. კვლავაც არ დავიშურებ ენერგიას, რომ ახალგაზრდა პატრიოტთა ახალი ფაზა მოვიშუშაოდ ქვეყანას. მაგრამ საჭიროა განათლების სახალხო კომისარიატმა შეგვიწყოს ხელი. საქმე ის არის, რომ ჩვენ არ მოგვეთვლება რუსული ენის გრამატიკა სპეციალურად ქართული სკოლებისათვის, არა გვაქვს აგრეთვე რუსული ენის ორთოგრაფიული ვარჯიშთა სახელმძღვანელო, არა გვაქვს სკოლის გარეთ წასაკითხები რუსული წიგნები სპეციალურად ქართული სკოლებისათვის. განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა მოიშუქრიგოს ამ სახელმძღვანელოებით ჩვენი სკოლების უზრუნველყოფის საქმე. მაინ კიდევ უფრო გაგვიადვილდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა.

**ელენე ფალავანდიშვილი**
მე-35 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი, ორდენოსანი.

## ღირსეული აღმზრდელები

შემოწმებიან, გამოცდებს თბილისის 26 კომისრის რაიონის მთელი რიგი სკოლები (მე-91, 86, 62) საუკეთესოდ მომზადებული შეხვდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-89 სკოლა, სადაც დიდი მზრუნველობით, თავდადებითა და სიყვარულით ხელთან კულტურული და ეროვნული აღეტერელი საბჭოთა ახალგაზრდებს, იყვნ მასწავლებლებს, რომელთა რიგ არიან ე. კობეშიძე (მე-17 სკოლა), ს. ფაღალი (მე-4 სკოლა), ნ. გონაშვილი (მე-19 სკოლა), ვ. სიმინტუნკოია (მე-71 სკოლა) და რ. ოსეფხანიანი (მე-86 სკოლა) და სხვები, მოსწავლეთა შორის დამსახურებელი აქვთ დიდი იდეოლოგიტი და პატიოსნებაც, რადგან ისინი მასწავლებლებიც არიან და ახალგაზრდობისათვის გზის მაჩვენებლებიც.

**კ. ლ.**

თბილისის მე-35 საშუალო სკოლის (სტალინის სახელობის რაიონი) კურსდამთავრებულნი. ფოტო რ. აკოფოვისა.

## სურვილები, იდეები, ოცნებანი...

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ერთერთი დამახასიათებელი თვისებაა უდიდესი მისწრაფება წინსვლისაკენ, შორსმჭვრეტა, სურვილი—გაკეთოს ახალი მნიშვნელოვანი რამ მშრომელთა კეთილდღეობისათვის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის. საბჭოთა ახალგაზრდობამ იცის, რომ მასზე ზრუნავს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, მასზე პირადად ზრუნავს დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. ამიტომ იგი გამდიდრულად და გამარჯვების ურყევი რწმენით შეაყურებს თავის მომავალს და ფიქრობს გეგმებით იწყებს ახალ ცხოვრებას.

ქიმია, ელექტრობა, ტექნიკა, ექსპერიმენტული მედიცინა, ხელოვნება, ლიტერატურა, სამხედრო საქმე, სტახანოვური შრომა — აი ის გზები, რომლებსაც მიპყვებიან ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტები და თავიანთ მუშობაში ფართო პერსპექტივებს სახავენ.

საბჭოთა ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის ნიჭმა, ფანტაზიამ, სურვილებმა გასაქანი ჰპოვონ და ხორცი შეისხან. მისთვის ფართოდ არის ღია სკოლების, უნივერსიტეტებისა და ლაბორატორიების კარი, სადაც ისინი ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგს და გატაცებით მუშაობენ ახალ აღმოჩენებსა და გამოკვლევებზე.

ასეთი ახალგაზრდები არიან, მაგალითად, თბილისის აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მე-18 სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეები, რომლებმაც წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა და ახალი სასწავლო წლიდან სწავლას განაგრძობენ უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენ ვესაუბრეთ მხოლოდ ხუთს.. მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ექმნოდათ საბჭოთა სკოლის მოწინავე მოსწავლეებზე.

პირველი, რაც თვალში ეცემა, მათ მათთან საუბრის დროს, არის ის, რომ ისინი ღრმა სიყვარულსა და მადლობის გრძნობით ლაპარაკობენ ალმრდელ სკოლასა და მასწავლებლებზე, რომლებიც წლების მანძილზე იყვნენ მათი მასწავლებლებიც და მეგობრებიც. მათი გულწრფელი სიტყვები გარწმუნებენ, რომ ისინი არასდროს არ დავიწყებენ ისეთ საყვარელ მასწავლებლებს, როგორიც არიან მათემატიკის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი, მედალსანი ვ. აბდულშვილი, ქართული ენის მასწავლებელი დამსახურებული პედაგოგი ვ. ვარდიაშვილი, ფიზიკის მასწავლებელი ივ. კუკავაძე, ქიმიის მასწავლებელი მ. ჯარიაშვილი და მრავალი სხვა.

თვითეული მათგანი ცდილობდა, რომ მარტო იგი არ ყოფილიყო წარჩინებული მოსწავლე. პირადი მაგალითით, გამოცდილების გაზიარებითა და დახმარებით ისინი მოწინავეთა რიგებში აყენებდნენ ჩამორჩენილებს — იბრძოდნენ კლასის საერთო წარმატებისათვის.

ესენი არიან თინა ვაწაძე, ლეილა ჭიალაშვილი, ლეილა ტყემალაძე, ვახტანგ მუსხელიშვილი და თეიმურაზ ცისკარიძე. მათში თავმოყრილია ყველა ის დადებითი მხარე, რაც საერთოდ საბჭოთა მოსწავლის დამახასიათებელია. მათ იციან, რომ საბჭოთა მოქალაქე ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი უნდა იყოს. ამიტომ მარტო ფრიადზე სწავლით არ კმაყოფილდებიან. უყვართ მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, კინო, სპორტი; მონდომებით შუშაობენ პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებაზე.

რა სპეციალობათა შესწავლა სურთ მათ?

ლეილა ტყემალაძე, თინა ვაწაძე და ვახტანგ მუსხელიშვილი ექიმები იქნებიან. პირველი ორის სურვილია მეცნიერული მუშობა მთელ რიგ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომელთა წარმატებით გადაჭრა დიდ როლს ითამაშებს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ვახტანგ მუსხელიშვილი კი დაინტერესებულია თვალის სნეულებებით. მას სურს კარგად შეისწავლოს სახელგანთქმული საბჭოთა მეცნიერის პროფ. ფილატოვის მიერ დამუშავებული ქირურგიული მეთოდი, რომლითაც უსიამოვნოდ ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, კინო, სპორტი; მონდომებით მუშაობენ პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებაზე.

ეგი გატაცებით ლაპარაკობს თავის მომავალ პრაქტიკულ მუშაობაზე, როცა მის მიერ თვალახილული ადამიანები მთელი სისრულით შეიგრძნობენ მხედველობის მქონე ადამიანის ბედნიერებას.

ძველი ქართული ლიტერატურა და ხალხური პოეზია — აი თემა ლეილა ჭიალაშვილის მომავალი მეცნიერული მუშობისა, როცა იგი დაამთავრებს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტს. „დაუმრეტელი ენერგიით ვიმუშავებ ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე და ღრმად ჩაეწვდები ხალხური პოეზიის სიბრძნეს“, — სთქვა ლეილამ.

თეიმურაზ ცისკარიძე შედის ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო საინჟინერო სასწავლებელში. „მეც მინდა ისეთი საბჭოთა ახალი სამხედრო გემები ავაშენო, რომ მათი სიძლიერე მტერს თავზარს სცემდეს. სიძლეენი არ მაშინებენ — თავდადებული მუშობითა და სწავლით ყველაფერს დავძლევ“, — განაცხადა სერიოზული სახით თეიმურაზმა.

გამარჯვების რწმენით აღსავსე ასეთ სიტყვებს განა მარტო თეიმურაზი და მისი ამხანაგები წარმოსთქვამენ. ასეთები ჩვენს ქვეყანაში ათეულ და ასეულ ათასობით არიან. თვითეულ მათგანში ჩვენ ვხედავთ ახალი კულტურის შენებელს, პროგრესისათვის მებრძოლს.

სტალინურმა ეპოქამ ყოველმხრივი ბედნიერება მიანიჭა ახალგაზრდობას. ისინი საშობლოს ქვეყნის ამაგს, დიდი სტალინის ზრუნვას თავდადებული სწავლითა და მუშობით უპასუხებენ. ისინი ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეების უსაზღვროდ ერთგულნი არიან.

**ლ. ხომერიკი**

ზემო-სვანეთის რაიონის სოფ. ეცერის კომკავშირელები (მარცხნიდან მარჯვნივ) ე. გერლიანი და დ. გაფანი, რომლებმაც შეიდი კლასი ფრიადზე დამთავრეს.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საქფოტოს ფოტოქრონიკა).

## კეთილი გზა, ძვირფასო ახალგაზრდებო!

ხვალ, 19 ივნისს თბილისის მე-35 საშუალო სკოლაში დიდი საზეიმო საღამო გაიმართება, ეს საღამო მიძღვნილია კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი, მოვლენ კურსდამთავრებულები, რომლებმაც გამოცდების დროს გვასახელეს, მოვლენ მათი მშობლები, უფრო დაბალი კლასების მოსწავლეები, მოვალთ ყველა მასწავლებლები და ვუსურვებთ ჩვენს ახალგაზრდებს კიდევ მეტ წარმატებებს ჩვენი დიადი ქვეყნის მრავალფეროვანი ცხოვრების სარბიელზე.

ისინი ჩინებული ახალგაზრდები არიან. დარწმუნებული ვართ არავინ ოდეს არ შეარცხვენენ ჩვენს სკოლას, ამ სკოლის პედაგოგთა პერსონალს.

34 კურსდამთავრებული ახალგაზრდა მიდის წელს ჩვენი სკოლიდან. ახლა იწყება მათთვის ცხოვრების ახალი პერიოდი და სწორედ იმ საზეიმო საღამოზე, რომელიც სკოლაში გაიმართება, ჩვენ მათ კიდევ ერთხელ მივეცემთ რჩევა-დარიგებას, მადლობას ვიტყვით მეფაიათობისა და ბეჯითობისათვის.

საუცხოო ახალგაზრდები არიან: ალექსი მთვარელიძე, რომელსაც დიდი მიღრეკილება აქვს მუსიკალურობა, საკეთარი სიმღერებიც კი აქვს დაწერილი, ნაკოთხი ყმაწვილია; რევაზ კიკნაძე ჩვენი საკოლო კიბლის გაზეთის რედაქტორია. უმთავრესად აინტერესებდა სამხედრო ტექნიკა. ამ მხრივ მას დახმარებას ვუწევდით — ვურჩევდით, რომელი წიგნი წაეკითხა და სხვ. მას ახლა გადაწყვეტილი აქვს სამხედრო სასწავლებელში წასვლა. ზვინაბ ქართველიშვილი დიდ ნიჭს იჩენს მათემატიკაში. მშვენიერად იცის ქართული ენა, კარგად შეითვისა რუსული ენაც, ხოლო მათემატიკური საგნები, როგორც იტყვიან, მისი სტიქიაა. გიგი ჭიოლაშვილსაც სამხედრო სასწავლებელში წასვლა აქვს გადაწყვეტილი.

მარიამ ორდენიძე, ლუკან მენაბდე, ეფიერ როსტომაშვილი, ვახტანგ სამადაშვილი, ნათელა ბენდელიძე, ოთარ ებრალიძე, მეთევან დავლიანიძე და სხვ. — ყველას საკეთარი მიზანი აქვს, ყველა ახალი ცხოვრებისათვის მზადებას იწყებს—ბევრი მათგანი ახალ ნაკოდად შეიტანება ჩვენი სახელოვანი წითელი ალმის რიგიბს. ზოგი ჩაიბმება პრაქტიკულ მოშობაში, სხვები განაგრძობენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა სპეციალობათა დასაუფლებლადა...

— კეთილი გზა, ძვირფასო ახალგაზრდებო!

**შ. დავითაია**
მე-35 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

## გაუხდებით მფრინავები

საბჭოთა ქვეყანას სჭირდება საუკეთესო მფრინავები, გამბედავი და უშიშარი სტალინური შეკვრნები. ჩემი და ჩემი ამხანაგების, თბილისის სამხედრო - საპაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის მოსწავლეთა სურვილია შესანშნავად დავეუფლოთ საპაერო საქმეს და ახლო მომავალში ღირსი გავხდეთ სახელოვანი საბჭოთა მფრინავების რიგებში ჩადგომისა, რათა საჭიროების დროს რისხვად დავატყდეთ მტერს ჰაერიდან.

**ბ. სეიფოლოვი,**
სპეციალოს მოსწავლე.

## უშ. ოგოლაძე

საქართველოს სსრ განსახკომის დაწესები თი და სამშალო სკოლების სამმართველოს უფროსი

## სასწავლო წლის პირველი შედეგები

უკვე დამთავრდა გამოცდები. ამ ეამად მიმდინარეობს გამოცდების შედეგების დაჯამება, ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში მიღწეული წარმატებებისა და ნაკლის ანალიზი. წინასწარი შედეგები ნათლად მოწმობენ, რომ ჩვენი სკოლა, ჩვენი მასწავლებლობა წელს უკეთესად მოშობდა, ვიდრე შარშან. ასეც უნდა იყოს. 1940-41 სასწავლო წელი განსხვავებულ პირობებში დაიწყო. სსრ ქავშრის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებამ, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი მასწავლებლებიც უდიდეს ენტუზიაზმით შეხვდა; განმტკიცდა შრომითი დისციპლინა და ამაღლდა სკოლის მუშაკთა პასუხისმგებლობა.

ამასთან ერთად, უშუალოდ სკოლის ცხოვრებაშიც დიდი მნიშვნელობის ახალი მოვლენები შეიჭრა. ჩვენი სკოლა ახალი ამოცანების წინაშე დადგა. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებ, — მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების სოციალისტურ პრაქტიკასთან დაკავშირების საქმის, — პრაქტიკულად განხორციელების მიზნით სკოლებ გაწელილი პროგრამა მიეცათ. მოსწავლეთა წრეთი და ზეპირი მეტყველების ლიტერატურის ამაღლების ლონისძიებათა ერაყეულ ბატარეა, დიდი მოძმი რუსი ხალხის ენის სწავლების ეაომზადებისაბამ. ცალკე საანწავლო დისციპლინების სწავლების ხარისხის ამაღლებას, შეგვიბეღლი დისციპლინის განმტკიცებასა და მოსწავლეთა წარმატების შეფასების საქმეში თვალისსაჩინოდ შემოხვეულთა წინააღმდეგ ბრძოლას მთელი წლის მანძილზე შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა. სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან, საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის დადგენილებათა შესაბამისად, დაისახა ახალი ამოცანა — სასწავლო მეურნეობის ზუსტად მოწესრიგების, სკოლაში წესრიგისა და სისუფთავის მტკიცედ დანერგვის ამოცანა.

ამ ამოცანების შესაბამისად აწარმოებდა ჩვენი სკოლა მუშობას და მას ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიეღწია. როგორია შედეგი?

მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეს ამ ერთი წელი მანძილზე დიდად წაიწია წინ. სკოლები ამ საქმეს სათანადო ყურადღებას აქცევდნენ. პატარა მეჯვარისხევის არასრულ საშუალო სკოლა (გორის რ.), ჭოპორეტა და ბაზალეთის საშუალო (ფშავის რ.), საყულის არასრული საშუალო, ოფშკითის საშუალო (ქუთაისის რ.) და მრავალ სხვა სკოლაში სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეს დიდი მონდომებით და ყურადღებით ეკიდებოდნენ. სკოლის მიწის ნაკვეთებზე სისტემატიურად სწარმოებდა საცდელი მოშობა. ბიოლოგიასა და ქიმიის კურსის შესწავლასთან ერთად ინტენსიურად მუშობა ეწარმოებდა ბიოლოგიურ ბაღებში. ბიოლოგიურ ბაღებში მოსწავლეები პრაქტიკულად ეცნობოდნენ ნიადაგთა შემადგენლობას, მეცნიერული აღმოჩენებისა და ზრდის პროცესების, მუნდობა და მეცენარეთა გავრცელების სხვა საშალებებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღნიერებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის პირობებსა და წესებს, იძენდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლის ჩვეულებანი და ჩანაბა. ეჭვი არ არის, რომ წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე ეს გასულ წლებში იყო, აქტიურად ჩაებმება პრაქტიკულ საქმიანობაში.

საშუალო სკოლის გამოსაშვიდნი კლასების მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების ანალიზიდან (ხანდაც სჩანს, რომ წელს საერთოდ სკოლიანში დიდი ყურადღება ექცეოდა ენაზე ვარჯიშსა და მხატვრული ნაწარმოების საფუძველთანან შესწავლას. ამის შედეგია ის, რომ ბევრ სკოლაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების, ლიტერატურის ამაღლების საქმეში. ქუთაისის პირველი და მეორე, ხაშურის პირველი, თბილისის მე-18, 1, 2, 3, 14, გორის მე-2 და მრავალი სხვა საშუალო სკოლის მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილის მიერ საგამოცდო თემა კარგად არის შესრულებული. საკითხის კარგად ცოდნა და თემის ძირითადი აზრის სწორად გაგება შინაარსის თანმიმდევრულად გაშლა და მოთხრობილი გეგმის მიხედვით ჩამოყალიბება, სიტყვათა საკმაო მარაგი და გამართული, სწორი, მხატვრულად დაფეფქილი ენა — აი რა ახასიათებს ამ თემებს. თბილისის მე-18 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ვარდიაშვილს დიდი შრომა დაუხარჯავს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია „კლასგარეშე კითხვისათვის, მოსწავლეების სიტყვათა მარაგის გამდიდრებისათვის, სისტემატიურად უწარმოება თვითეულ მათგანთან ინდივიდუალური მუშობა. მოსწავლეებს ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ცოდნა მოეპოვებათ, თავისუფლად არიან დაუფლებულნი ენას, დიდიარი და მრავალფეროვანია მათი ლექსიკა.

რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საქმისათვის ბევრი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა. რუსული ენის მასწავლებელთა შემადგენლობა ეკალეფაციური ტალრებით შეიეკნა, სასწავლო პროგრამები დაზუსტდა, სახელმძღვანელო წიგნები გაუმჯობესდა, საკმაო გამოცდა თვალსაჩინოდ ფიდაჭტიკური მასალები — სურათები და ტაბულები. განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური კაბინეტების ხელმძღვანელობა რუსული ენის სწავლების საქმეზე მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში — თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და ლენინგორის, ლუგანსკის, ხაშურის, ცხალეთის, ბოლნისი, ნაკოთხ ყმაწვილებ, ლენინ-სტალინ-ბურგის, ბაზალეთის, ბოლნისი, ბოლნისი და სხვა რაიონებში — უფრო მოქნილი. ოპერატიული გახდა. ბევრ სკოლაში გამოცდებმა ეარეი შედეგები მოგვცა. თბილისის მე-15 სკოლის მეოთხე კლასის (მასწავლებელი—ბაბაევა), მე-25 სკოლის მეხუთე კლასის (მასწავლებელი—ფეფმაძე), ილია ჭავჭავაძის სახელობის მისამე სკოლის მეექვსე კლასის (მასწავლებელი — ნ. რუხაძე) მოსწავლენი საუკეთესოდ ეუბასუხებდნენ. კარგად ეარიან მომზადებულნი მე-35, 70, 73, და სხვ. სკოლების მეათეკლასელი მოსწავლეები. მე-35 სკოლაში 29 მეათეკლასელ მოსწავლიდან ფრიადი შეფასება მიიღო 11-მა, კარგი — 6 და ცუდი — მხოლოდ ერთმა. ქუთაისის რაიონის საყულის არასრული საშუალო სკოლაში, რუსული ენის მასწავლებლების ყურადრაძისა და ჯინეშვილის მოსწავლეები რუსულ ენაში საუკეთესოდ არიან დაუფლებულნი პროგრამის კურსს, საკმაოდ მოეპოვებათ სიტყვათა მარაგი, მეტყველებენ და სწერენ სწორად, არცერთ მოსწავლეს არა აქვს ცუდი შეფასება.

რუსული ენის სწავლება წელს სანიმუშოდ იყო დაკენებული აგრეთვე ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მე-4 კლასში (მასწავლებელი — ნ. რამიშვილი), ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში (მასწავლებელი — ყენია და კიკნაძე), ბორჯომის მე-2 საშუალო სკოლაში (მასწავლებელი — მ. გურამიშვილი), ცხალეთის ბოლნისის სახელობის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი — ა. ჩხეტია), ორჯონიკიძის რაიონის ხეჩოვის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი — თ. ჯაფარიძე) და სხვ.

მათემატიკის სწავლების საქმეშიც, 1939-1940 სასწავლო წელთან შედარებით, ჩანერმა სკოლებმა წელს მრავალი წარმატება მოიპოვეს. ამიამად რესპუბლიკის მთელი რიგი სკოლების მოსწავლეები გიგანტიკი ეარეი სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნაში, კარგად იციან ზეპირი ანგარიში, გაანჩიან ანტტლებათა შედეგნის, ამოხსნილა და შემოწმების მეტიცე ჩვეეები, დაუფლებული ეარიან გეომეტრიულ ამოცანათა ამოხსნის საქმეს, კარგად ეძიეეეენ ტრიგონომეტრიულ ფუნქციებში და სხვ. მოუხდავად ამისა, რომ მეათეკლასელი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი საკამოცდო წერითი თემა ალგებრაში შედარებით რთული იყო, რესპუბლიკის სკოლების დიდ უმრავლესობაში თემა მოსწავლეებმა კარგად დასძლიეს. გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა უდიდესმა ნაწილმა ასეეე კარგად შეასრულა წერითი დავალება გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში.

ერთგვარი წინსვლით ხასიათდება წელს სხვა სასწავლო დისციპლინების სწავლებაც.

ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენებამ XVIII პარტიულ კონფერენციაზე დიდად შეიწყო ხელი განათლების ხელმძღვანელი ორგანოების მოშობის გარდამეხვევ. კონფერენციის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შესრულების შემოწმებას, რამაც სკოლებში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშობის საერთო გაუმჯობესება გამოიწვია. გარდა ამისა, ამ მოხსენებასთან დაკავშირებით, სასკოლო ცხოვრების მოწესრიგებისა და სკოლაში სისუფთავისა და კულტურის დანერგვის ხაზით დიდი მუშობა ჩატარდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო შედეგი მოგვცეა ამ მუშობამ თბილისის ყოლაბში, რადგან თბილისის და მისი რაიონების განათლების განყოფილებებმა ამ საქმეს მეტიცეეი მოკიდეეს ხელი. ამიამად თბილისში შრომეეილი ისეეი სკოლა, სადაც სანიმუშო წესრიგი და სუფთავეა. ასეეეეა, მაგალითად, მე-50, 18, 3, 89, 77 და სხვა სკოლები. სისუფთავეა და წესრიგის მხრივ სანიმუშოა ადრეეეეე ჩხარის რაიონის ღვანკითის არასრული საშუალო სკოლა.

მაგრამ, ზოგან პედაგოგიური კოლექტივი მეჩიდროდ არ არის დარაზმული სკოლის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების გარშემო და ამის შედეგად მუშობაც სუსტად მიმდინარეობს. მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეე ქვემო-ხოდაშნისა და ჯერდელეურის არასრულ საშუალო სკოლებში (ოელეოის რ.) დაგვიანებით დაიწყეს, არადამაკმაყოფილებლად მუშობენ ამ მხრივ ოონერის (ჩოხატაურის რ.) და წილკანის (ტაბეფეთის რ.) საშუალო სკოლები. წილკანის საშუალო სკოლაში ნაკეთები მუშობა ორგანულად არ არის დაკავშირებული ბიოლოგიის სასწავლო მასალასთან. მეტყველების კულტურის ამაღლების ხაზით სუსტად სწარმოებდა მუშობა წალენჯიხის პედაგოგიურ სასწავლებელსა და ნაფარეულის საშუალო სკოლაში (თელავის რ.). არადამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა წერითმა მუშობამ თბილისის მე-20 სკოლის მეათე კლასებში. ამ სკოლაში 45 მოსწავლიდან 24-მა მიიღო ცუდი შეფასება. ეიდ ჩამორჩენას აქეს ადგილი რუსული ენის სწავლების მხრივ ხიზაბავრის საშუალო, სარის არასრული საშუალო (ასპინძის რ.), ურანბინის არასრული საშუალო (ქარელის რ.) სკოლის დაწყებით და ოსიაურის არასრული საშუალო სკოლის მე-5 კლასებში (ხაშურის რ.). ქეემა-სიმონეთის საშუალო სკოლის (ქუთაისის რ.) მეათეკლასელმა მოსწავლეებმა წერითი საგამოცდო თემა ალგებრაში არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს, ხოლო ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ვერ ამოხსნეს მაგალითები ალგებრაში. ზოგიერთ სკოლაში წესრიგისა და სისუფთავის დაცვას ყურადღება არ ექცეოდა. ჩხაორის რაიონის ქვედა-ალესანინსა და თბილისის მე-24 საშუალო სკოლებში ,ბინიტ-ლაბორატორიებს არ ეეეეედნენ, სკოლის ეზოებში ბალეეი ტალახი იყო და სასკოლო ოთახები მოეეეედალდ და ეესუფთაოდ იყო მატოვებული.

ამეამად საქართველოს სსრ განსახკომის ხაზით, ქალაქებსა და რაიონებში უკვე მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისა-თვის. მომავალი სასწავლო წლიდან ჩვენს სკოლებს მოშობისათვის უკეთესი პირობები ექნებათ.

არსებითად გაუმჯობესებული იქნება მასწავლებლებისათვის კონკრეტული დახმარების გაწევა იმ მიმართულებით, რომ მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება მჭიდროდ და ორგანულად დაუკავშირდეს ამ პრაქტიკას. მომდინარე სასწავლო წლიდან ჩვენი რესპუბლიკის 30 მსგავ ქალაქსა და რაიონში ამ მიზნით ყალიბდება სპეციალური კაბინეტ-ლაბორატორიები.

როგორც ცნობილია, მთელი რიგი წლების განმავლობაში ისტორიის სახელმძღვანელებები არ არსებობდა. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი სუსტად იცნობდნენ ისტორიულ მოვლენებს, ძირითად თარიღებს, ცნობილ ადამიანთა მოღვაწეობას. თავის მხრით ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებდა მოსწავლეთა საერთო მომზადებაზე, მათი გონებრივი ჰორიზონტის განვითარებაგაფართოებაზე, მიმდინარე წლის სექტემბრიდან ჩვენი სკოლების V-X კლასის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ისტორიის სახელმძღვანელოებით. უკვე თარგმნილია შვიდი სხვადასხვა საბჭოთაფილოსოფოს წიგნი. მათგან ორი კიდევ გამოვიდა ბიზარზე. ახლად გამოიცემა ვიტეერის კაპიტალისტიკური ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია, გადაკეთებული სახით გამოვა ალრეთვე ალადემკოს გ. ახვლედიანის რუსული ენის ერამატიკა საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთათვის. საერთოდ ჩვენი სკოლების მოსწავლენი წელს ბევრად უფრო კარგად იქნებიან უზრუნველყოფილნი სახელმძღვანელოებით. ვიდრე შარშან.

დიადი სოციალისტური სამშობლო ახალგაზრდა პატრიოტების აღზრდის საქმეს ახალ - ახალ ამოცანებს უყენებს. ცხოვრება სავსებით სამართლიანად მოითხოვს, რომ სკოლას მასთან უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეს, რომ ჩვენი სკოლა უფრო მტკიცედ აიარაღებდეს მოსწავლეებს მეცნიერებითა სიფიცრეთა ცოდნით, ზრდიდეს კულტურულ, ჯანსაღ, ბრძოლისუნარიან ახალგაზრდობას, რომელსაც შეეძლება საკეთარი მკრეთი დაიცვას დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** ყოველდღიური ზრუნველობის შედეგად ჩვენს სკოლას ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ წარმატებით გადასწყვეტოს დაკისრებული ამოცანა.

სახალხო განათლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, განათლების მუშაკებმა და თვალმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ ნათლად უნდა გაითვალისწინოს ამ ახალი ამოცანების მნიშვნელობა და ენერგიულად მოკიდონ ხელი ახალი საასწავლო წლის საკეთილსოდ მოსამზადების საქმეს.

## სამხრეთ-აღმოსავლეთის ომი

## სამხრეთ-აღმოსავლეთის ომი

## სამხრეთ-აღმოსავლეთის ომი